ლელო

19—22 მარტი, 1994 წ.
№ 8 (10876) ● ფასი 6000 კუპონი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

603/2
III
3



**SOS!**

**შევინარჩუნებთ** თუ არა ჩვენი ხალხის ერთ-ერთ უძველეს ეროვნულ კერას ცხენთა ხარბიელს საქართველოში? თბილისის სახელმწიფო იპოდრომი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში, ახლო წარსულში, ცხენთა ყველაზე კეთილმოწყობილი სასპარეზო იყო, სამწუხაროდ, დღეს ამის იმედს, აღარ იძლევა. დაფიქრდით, ხალხო!

## შინ და გარეთ...

**ტყვიის სროლა** ● სეულის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი ტყვიის სროლაში ნინო სალუქვაძე ამჯერად მხოლოდ მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში ამ დღეებში გამართულ ევროპის პირველობაზე. პნევმატური იარაღის სროლაში იბრძოდა 18 გუნდი. კონტინენტის უძლიერესი მსროლელის სახელის მოსაპოვებლად და ეს ტიტული წილად ხვდა ბულგარელ ჩუბინებს. ამ წარმატებაში დიდი წვლილი უდევთ პისტოლეტის მსროლელებს, რომლებმაც არავის დაუთმეს პირველი და მეორე ადგილები. კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა მარია გროზდევამ, ვერცხლის მედალი ერგო დინა იურგოვას, ბრინჯაო კი სლოვენიელმა სპორტსმენმა იასნა სეკარიჩმა მოიპოვა. ნინო სალუქვაძე მეხუთეა. საქართველოს წარმომადგენლები VI ადგილზე არიან. მეორე გუნდურ ადგილს კი რუსეთის გუნდი დაეუფლა, მესამეზეა პოლონეთის ნაკრები.

**თავისუფალი ჭიდაობა** ● წლეულს 7-10 აპრილს რომში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ჩვენი მოჭიდავეებისთვის ამ პრესტიჟული ასპარეზობის მზადების ერთ-ერთი ბოლო ეტაპი გახლდათ მინსკში ჩატარებული ალექსანდრე მედვედის სახელობის საერთაშორისო ტურნირი, სადაც ჩვენი ქვეყნის ხუთი მოჭიდავე მონაწილეობდა. სოხუმელმა ელდარ კურტანიძემ (90 კგ) ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოიპოვა, გორელი დავით პოღოსიანი (62) მეორე იყო.

**კრივი** ● საკმაოდ „მეჩხერად" გამოიყურებოდა 1976-1977 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა თბილისის პირველობა, რომელიც მოზრდილთა ჩემპიონატის კვალდაკვალ, იქვე ვერის პარკის კრივის დარბაზში ჩატარდა. მას უფრო სამატჩო შეხვედრა ეთქმის, რადგან მარტო „შევარდენისა" და „მართვეს" წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ რინგზე ერთმანეთს და ისიც ხუთ წონით კატეგორიაში. აქედან პირველ შეხვედრაში (მჩატე წონა) გ. ასატუროვის („მართვე") გამოუცხადებლობის გამო შევარდნელ არარატ ოჰანესიანს უბრძოლველად მიენიჭა გამარჯვება. დანარჩენ წონებში კი უძლიერესნი იყვნენ: 57 კგ. ლადო ტურიაშვილი, 60. გიორგი პოდსტანიცკი, 67. ზურაბ ბაზაძე, 71. პაატა რეხვიაშვილი (ყველა — „შევარდენი").

როგორც ხედავთ, მწვრთნელებს საკმაოდ მოუდუნებიათ ყურადღება ამ ასაკის სპორტსმენებისადმი, რაც მომავალში ძვირად დაგვიჯდება.

* * *

**ჭიდაობა** „ერთსულოვნება" გამოავლინეს ქართველმა მოკრივეებმა გერმანიის ქალაქ ჰალეს XXII ტრადიციულ ტურნირში, რომელშიც მსოფლიო სამოყვარულო კრივის მთელმა ელიტამ მოიყარა თავი. მათ შორის, ცხადია, იყვნენ კუბის, ბულგარეთის, რუსეთის, უკრაინის, სულ 14 ქვეყნის წარმომადგენლები.

ეს ასპარეზობა „ა" კლასის ტურნირად ითვლება და ამჯერად წლევანდელი მსოფლიო პირველობის წინ (ივლისში გაიმართება ბანგკოკში) ძალთა დათვალიერებასაც წარმოადგენდა. საქართველო ხუთი სპორტსმენით წარსდგა შეჯიბრებაზე, რომელთაგან ოთხი ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. ესენი არიან: თბილისელები თამაზ წკრიალაშვილი (57 კგ), კახაბერ ჩიქვინიძე (63,5), გორელი გიორგი კანდელაკი (91, ყველა — „მართვე") და ფოთელი ზურაბ სარსანია (+ 91, „შევარდენი"). გუნდურ ჩათვლაში ქართველ მოკრივეებზე მეექვსე ადგილი მოდის ბულგარეთის, კუბის, გერმანია I-ის, გერმანია II-ისა და ჩეხეთის გუნდების შემდეგ. სამეულს მიღმა დარჩა მხოლოდ მსუბუქი წონის თბილისელი მოკრივე კობა გოგოლაძე.

რაც შეეხება გორელ გ. კანდელაკისა და ფოთელ ზურაბ სარსანიას, რომლებმაც შარშან ევროპის პირველობაზე ისახელეს თავი, ესოდენ მორიდებულ გამოსვლას მწვრთნელები ხსნიან იმით, რომ მათ ადგილებზე არ ჰქონდათ სრულყოფილი მომზადებისათვის სათანადო პირობები.

## ირაკლი ჯაფარიძის შეგირდი ავსტრიის ჩემპიონია

**ვენა.** ავსტრიის ღია ჩემპიონატში ფიგურულ სრიალში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ბესიკ ცინცაძე, რომელსაც წარსულში ცნობილი სპორტსმენი და მწვრთნელი ირაკლი ჯაფარიძე ავარჯიშებს (იგი ამჟამად უცხოეთში მუშაობს). ბესიკ ცინცაძემ ამ წარმატებით მსოფლიო პირველობაში (ტოკიო, აპრილი) მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

16 მარტს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების საპასუხო შეხვედრები.

**ჩემპიონთა ლიგა**

„ა" **ჯგუფი.** „ბარსელონა" (ესპანეთი) — „სპარტაკი" (მოსკოვი, რუსეთი) 5-1, „გალათასარაი" (თურქეთი) — „მონაკო" (საფრანგეთი) 0-2.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მონაკო" | 4 | 3 | 0 | 1 | 9—3 | 6 |
| „ბარსელონა" | 4 | 2 | 2 | 0 | 9—3 | 6 |
| „გალათასარაი" | 4 | 0 | 2 | 2 | 0—5 | 2 |
| „სპარტაკი" | 4 | 0 | 2 | 2 | 4—11 | 2 |

„ბ" **ჯგუფი.** „ვერდერი" (გერმანია) — „მილანი" (იტალია) 1-1, „პორტუ" — (პორტუგალია) — „ანდერლეხტი" (ბელგია) 2-0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მილანი" | 4 | 2 | 2 | 0 | 6—1 | 6 |
| „პორტუ" | 4 | 2 | 0 | 2 | 5—6 | 4 |
| „ვერდერი" | 4 | 1 | 1 | 2 | 9—9 | 3 |
| „ანდერლეხტი" | 4 | 1 | 1 | 2 | 4—7 | 3 |

**თასების მფლობელთა თასი**

„ბაიერი" (გერმანია) — „ბენფიკა" (პორტუგალია) 4-4, „პარმა" (იტალია) — „აიაქსი" (ჰოლანდია) 2-0, „არსენალი" (ინგლისი) — „ტორინო" (იტალია) 1-0, „პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) 1-1.

ნახევარფინალში გავიდნენ „ბენფიკა", „პარმა", „არსენალი", „პარი სენ-ჟერმენი".

**უეფას თასი**

„კარლსრუე" (გერმანია) — „ბოავიშტა" (პორტუგალია) 1-0, „იუვენტუსი" (იტალია) — „კალიარი" (ბელგია) 1-2, „ინტერი" (იტალია) — „ბორუსია" (გერმანია) 1-2, „აინტრახტი" (გერმანია) — „კაზინო" (ავსტრია) 1-0. ვინაიდან ამ გუნდების პირველი შეხვედრა ასეთივე ანგარიშით დამთავრდა ავსტრიელთა სასარგებლოდ, დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანების სერია. გაიმარჯვა „კაზინომ" — 5-4.

ნახევარფინალში გავიდნენ „კარლსრუე", „კალიარი", „ინტერი", „კაზინო".

ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშების ექო

## ნაგანოში უკეთ ვიასპარეზებთ...



— სამთო-სათხილამურო სპორტი და ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა ნამდვილად საჩვენო სპორტია, სადაც შეიძლება მომზადდეს მაღალი კლასის სპორტსმენები. — ამბობს სამთო-სათხილამურო სპორტში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გერა აბრამიშვილი, რომელიც ზამთრის XVII ოლიმპიადიდან დაბრუნების შემდეგ რედაქციაში მოვიწვიეთ. ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ მისი პასუხები ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე.

● **შეგვეძლო თუ არა ლილეჰამერში უკეთ გამოსვლა სამთო-სათხილამურო სპორტში?**

— ჯერ ის ვთქვათ, რომ ზურაბ ჯიჯიშვილი ურიგოდ არ გამოსულა. სულ რაღაც 4,5 წამი, რომელიც მან გამარჯვებულთან წააგო სწრაფდაშვების ურთულეს, ყინულოვან ტრასაზე, საგანგაშო არაა. მით უფრო, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში შედარებით იოლ ტრასებზე მეტი განსხვავებით. ვაგებდით. იქნებ ყველამ არ იცის, რომ გუნდის ლიდერმა სწრაფდაშვებაში გოჩა ჭელიძემ, რომელიც მთელი წლის მანძილზე ჯიჯიშვილზე უკეთ გამოდიოდა, სერიოზული ტრავმა მიიღო ავსტრიაში, რის გამოც ოლიმპიადაზე ვერ გაემგზავრა. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო სადაზღვევო ფირმა „ალდაგს", რომელმაც ამ სპორტსმენის ოპერაციისთვის მოზრდილი თანხა გაიღო. ხოლო რაც შეეხება ლევან აბრამიშვილს, რომელზედაც გარკვეულ იმედს ვამყარებდით და ვვარაუდობდით, რომ 25 საუკეთესო სპორტსმენს შორის მოხვდებოდა, სლალომში შეჯიბრებას გამოეთიშა. სამწუხაროდ, იგი იმ 39 მონაწილეს შორის მოხვდა, რომლებმაც ტრასა ვერ დაამთავრეს.



● **იყო თუ არა სრულყოფილი წინასაოლიმპიადო მზადება?**

— შეიძლება ითქვას, იყო. ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოს სპორტის დეპარტამენტისა და ფედერაციის ხელშეწყობით ევროპის თითქმის ყველა შეჯიბრებაში ვმონაწილეობდით. სწორედ იქ მოიპოვეს ბიჭებმა ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება.

● **ადრე ინვენტარის ნაკლებობას განიცდიდით, გამოსწორდა მდგომარეობა?**

— სხვებზე უარესი ინვენტარი ოლიმპიადაზე ნამდვილად არ გვქონია. სპორტის დეპარტამენტმა ერთი წლით ადრე ყველაფერი გააკეთა, რომ საუკეთესო, მაღალი ხარისხის ინვენტარი შეგვეძინა. შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს კიდეც, რომ ერთ სპორტსმენს 10-12 წყვილი თხილამური ესაჭიროება სეზონში.

● **ეს ოლიმპიადა დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრებულა სპორტული სეზონი, რა გეგმებსისახავთ?**

— ნაკრების ერთი წევრი (ჯერ გადაწყვეტილი არაა ვინ იქნება) და კიდევ ორი ახალგაზრდა მალე გაემგზავრება საბერძნეთში, სადაც სლალომის ოთხი სტარტი მოეწყობა 15-მდე ქვეყნის მონაწილეობით. ასეთივე ფორმულით (1+2) სამი სპორტსმენი გაემგზავრება კიროვსკში სწრაფდაშვების ოთხ სტარტში მონაწილეობისთვის. ამოცანაა: გამოცდილმა სპორტსმენებმა ხუთეულში. მოსახვედრად იბრძოლონ, ახალგაზრდებმა კი ქულები მოიპოვონ.

● **გამოდის რომ რეზერვის აღზრდაზეც ზრუნავთ...**

— ცხადია, მომავალი ოლიმპიადა ხომ მათთვისაცაა. იმედი მაქვს, მომავალ თამაშებზე, ნაგანოში, უკეთ ვიასპარეზებთ.

● **როგორც ნაკრების ხელმძღვანელს, რა პრობლემები გაწუხებთ?**

— მთავარია, ზაფხულის პერიოდში თოვლს არ გამოვემშვიდობოთ და გავაგრძელოთ მზადება, როგორც ეს წესად აქვთ უცხოელ სამთომოთხილამურეებს ზაფხულში თოვლზე ვარჯიში აუცილებელია, რაც, ცხადია, რთულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, სხვაგვარად ფუჭია მაღალ შედეგებზე ოცნება.

● **უსპონსოროდ ალბათ, ვერც ერთ პრობლემას ვერ გადაჭრით...**

— ვერც აქამდე გადავჭრიდით. რაც გაკეთდა, ისიც მათი დახმარების შედეგია.

● **ხომ არ დაასახელებდით მათ?**

— დღევანდელ პირობებში ეს ცოტა სარისკოა, მაგრამ ვინც ჩვენ ამ ორი წლის განმავლობაში შეგვეწია, ყველა უდიდეს მადლობას იმსახურებს. დრო დადგება და უფრო თამამად, თქვენივე გაზეთის ფურცლებიდან შევეხმიანები მათ. ამჯერად ხმამაღლა მხოლოდ „ორბის" გენერალურ დირექტორს ბატონ ვასილ ჯამბაზიშვილს მინდა ვუთხრა მადლობა თანადგომისთვის.

ესაუბრა **თ. თოფაძე.**

## ვულოცავთ

**გაზეთ** „ლელოს" რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს სახელოვან ქართველ ფალავანს ოლიმპიური თამაშების ორგზის და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში **ლევან თედიაშვილს.**

## ყურადღება!

**აფხაზეთის** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი თხოვნით მიმართავს ფირმებს, ორგანიზაციებს, წარმოებებს გამოიჩინონ ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი გულისხმიერება და გაუწიონ ფინანსური დახმარება აფხაზეთიდან დროებით გადაადგილებულ პერსპექტიულ სპორტსმენებს, ომში დაჭრილ ათლეტებს, დაღუპული სპორსტმენების ოჯახებს, სპორტის ვეტერანებს.

ჩვენი ანგარიშია: აფხაზეთის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი. საბიუჯეტო ანგარიში № 031130692, საქართველოს ბინსოცბანკი.

**სამბო** ● საქართველოს თასის გათამაშებაზე თითქმის ყველა საუკეთესო მოჭიდავემ მოიყარა თავი (1992 წლის ახალგაზრდებში მსოფლიო პირველობაში გამარჯვებულ იაშვილის გარდა, რომელსაც ტრავმამ შეუშალა ხელი). უფროსებს მალე მსოფლიო თასის გათამაშება ელით, ჭაბუკებს — ევროპის პირველობა. გაგაცნობთ საქართველოს თასის გათამაშების გამარჯვებულებს:

**[illegible]**

48 კგ. მონაწილე არ იყო, 52. ბესიკ ოდიშვილი (თბილისი, თავდაცვის სამინისტრო), 57. მევლუდ მელაძე (თბილისი, „შევარდენი"), 62. ბადრი ჯანაშვილი (კასპი, „შევარდენი"), 68. არჩილ ჩოხელი (მცხეთა, თავდ. სამინისტრო), 74. ჯონდო მუზაშვილი (მცხეთა, თავდ. სამინისტრო), 82. ფრიდონ ყვავილაშვილი (რუსთავი, თავდ. სამინისტრო), 90. ივანე გამხიტაშვილი (კასპი, „შევარდენი"), 100. ლერი ქორელიანი (ლენტეხი, „შევარდენი"), მძიმე — ჯამბულ ქამხაძე (კასპი, თავდ. სამინისტრო).

## ინფორმაცია

**საქართველო, როგორც მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის დიდი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, პირველად დამოუკიდებელი გუნდით, ლილეჰამერში, ზამთრის XVII ოლიმპიადაზე წარდგა. ეს ოლიმპიადა ჩვენი საკუთარი ისტორიაცაა. ამიტომ მიგვაჩნია აუცილებლობად ქართული სპორტის მატიანეს შემოვუნახოთ ამ თამაშების ტექნიკური მონაცემები (უძლიერესთა ექვსეულისა და... საქართველოს სპორტსმენთა შედეგები).**

## სათხილამურო რბოლა

**ქალები. 15 კილომეტრი. თავისუფალი სტილით (13.02.94).** 1. მანუელა დი ჩენტა (იტალია) — 39. 44,5; 2. ლიუბოვ ეგოროვა — 41.03,0; 3. ნინა გავრილიუკი (ორივე — რუსეთი) — 41.10,4; 4. სტეფანია ბელმონდო (იტალია) — 41.33,6; 5. ლარისა ლაზუტინა — 41.57,2; 6. ელენა ვიალბე (ორივე — რუსეთი) — 42.26,6.

**ვაჟები. 30 კილომეტრი. თავისუფალი სტილით (14.02.94).** 1. თომას ალსგაარდი — 1:12.26,4; 2. ბიორნ დელი (ორივე — ნორვეგია) — 1:13.13,6; 3. მიკა მილილაე (ფინეთი) — 1:14.14,0; 4. მიხაილ ბოტვინოვი (რუსეთი) — 1:14.43,8; 5. მაურილიო დე ძოლტი (იტალია) — 1:14.55,5; 6. იარი ისამეტსა (ფინეთი) — 1:15.12,5.

**ქალები. 5 კილომეტრი. კლასიკური სტილით (15.02.94).** 1. ლიუბოვ ეგოროვა (რუსეთი)— 14.08,8; 2. მანუელა დი ჩენტა (იტალია) — 14.28,3; 3. მარია-ლიისა კირვისნიემი (ფინეთი) — 14.36,0; 4. ანიტა მუნი — 14.39,4; 5. ინგერ-ჰელენ ნიუბროტენი (ორივე — ნორვეგია) — 14.43,6; 6. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) — 14.44,2.

**ვაჟები. 10 კილომეტრი. კლასიკური სტილით (17.02.94).** 1. ბიორნ დელი (ნორვეგია) —24.20,1 2. ვლადიმერ სმირნოვი (ყაზახეთი) — 24.38,3; 3. მარკო ალბარელო (იტალია) — 24.42,3; 4. მიხაილ ბოტვინოვი (რუსეთი) — 24.58,9; 5. სტურე სივერტსენი (ნორვეგია) — 24.59,7; 6. მიკა მილილაე (ფინეთი) 25.05,3.

**ქალები. 10 კილომეტრი. თავისუფალი სტილით. 15 თებერვლის 5 კილომეტრზე რბოლის შედეგების გათვალისწინებით (17.02.94).** 1. ლიუბოვ ეგოროვა (რუსეთი) — 41.38,1; 2. მანუელა დი ჩენტა — 41.46,4; 3. სტეფანია ბელმონდო (ორივე — იტალია) — 42.18,1; 4. ლარისა ლაზუტინა — 42.36,5; 5. ნინა გავრილიუკი (ორივე — რუსეთი) — 42.36,9; 6. კატარინა ნეიმანოვა (ჩეხეთი) — 42.49,8.

**ვაჟები. 15 კილომეტრი. თავისუფალი სტილით. 17 თებერვლის 10 კილომეტრზე რბოლის შედეგთა გათვალისწინებით (19.02.94).** 1. ბიორნ დელი (ნორვეგია) — 1:00.08,8; 2. ვლადიმერ სმირნოვი (ყაზახეთი) — 1:00.38,9; 3. სილვიო ფაუნერი (იტალია) —1:01.48,6; 4. მიკა მილილაე (ფინეთი) — 1:01.55,9; 5. მიხაილ ბოტვინოვი (რუსეთი) — 1:01.57,8; 6. იარი რიასანენი (ფინეთი) — 1:02.03,7.

**ქალები. ესტაფეტა 4X5 კმ (21.02.94).** 1. რუსეთი (ელენა ვიალბე, ლარისა ლაზუტინა, ნინა გავრილიუკი, ლიუბოვ ეგოროვა) — 57.12,5; 2. ნორვეგია (ტრუდე დიუბენდალი, ინგერ-ჰელენ ნიუბროტენი, ელინ ნილსენი, ანიტა მუნი) — 57.42,6; 3. იტალია (ბიჩე ვანცეტა, მანუელა დი ჩენტა, გაბრიელა პარუცი, სტეფანია ბელმონდო) — 58.42,6; 4. ფინეთი — 59.15,9; 5. შვეიცარია — 1:00.05,1; 6. შვეცია — 1:00.05,8.

**ვაჟები. ესტაფეტა 4X10 კმ (22.02.94).** 1. იტალია (მაურილიო დე ძოლტი, მარკო ალბარელო, ჯორჯო ვანცეტა სილვიო ფაუნერი) — 1:41.15,0; 2. ნორვეგია (სტურე სივერტსენი, ვეგარდ ულვანგი, თომას ოლსგარდი, ბიორნ დელი) — 1:41.15,4; 3. ფინეთი (მიკა მილილაე, ჰარი კირვესნიემი, იარი რიასანენი, იარი ისამეტსა) — 1:42.15,6; 4. გერმანია —1:44.26,7; 5. რუსეთი — 1:44.29,2; 6. შვეცია — 1:45.22,7.

**ქალები. 30 კილომეტრი. კლასიკური სტილით (24.02.94).** 1. მანუელა დი ჩენტა (იტალია) — 1:25.41,6; 2. მარიან ვოლდი (ნორვეგია) — 1:25.57,8; 3. მარია-ლიისა კირვესნიემი (ფინეთი) —1:26.13,6; 4. ტრუდე დიუბენდალი (ნორვეგია) — 1:26,52,6; 5. ლიუბოვ ეგოროვა 1:26.54,8; 6. ელენა ვიალბე (ორივე — რუსეთი) — 1:26.57,4.

**ვაჟები. 50 კილომეტრი. კლასიკური სტილით (27.02.94).** 1. ვლადიმერ სმირნოვი (ყაზახეთი) — 2:07.20,3; 2. მიკა მილილაე (ფინეთი) — 2:08.41,9; 3. სტურე სივერტსენი — 2:08.49,0; 4. ბიორნ დელი — 2:09.11,4; 5. ერლინგ იევნე (სამივე — ნორვეგია) — 2:09.12,2; 6. კრისტერ მაიბეკი (შვეცია) — 2:10.03,8.

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 4 | 1 |
| იტალია | 3 | 2 | 4 |
| რუსეთი | 3 | 1 | 1 |
| ყაზახეთი | 1 | 2 | — |
| ფინეთი | — | 1 | 4 |

რუსეთის გუნდის წევრმა ლიუბოვ ეგოროვამ 3 ოქროსა და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა. იტალიელმა მანუელა დი ჩენტამ კი ხუთ სახეობაში სცადა ძალები და ხუთივეში საპრიზო ადგილი დაისაკუთრა (ორი ოქრო, ორი ვერცხლი, ერთი ბრინჯაო). მოთხილამურე ვაჟებში ყველაზე კარგად მომზადებული აღმოჩნდა ნორვეგიელი ბიორნ დელი. მან ორი ოქროსა და ამდენივე ვერცხლის მედალი მიიღო.

## ბიატლონი

**ქალები. 15 კილომეტრი. (18.02.94).** 1. მირიამ ბედარი (კანადა) — 52.06,6 (2); 2. ან ბრიანი (საფრანგეთი) — 52.53,3 (3); 3. ურსულა დიზლი (გერმანია) — 53.15,3 (3); 4. სვეტლანა პარამიგინა (ბელარუსი) — 53.21,3 (4); 5. კორინ ნიორიე (საფრანგეთი) — 53.38,1 (2); 6. მარტინა იაზიკოვა (სლოვაკეთი) —53.56,4 (3).

**ვაჟები. 20 კილომეტრი (20.02.94).** 1. სერგეი ტარასოვი (რუსეთი) — 57.25,3 (3); 2. ფრანკ ლუკი — 57.28,7 (3); 3. სვენ ფიშერი (ორივე — გერმანია) —57.41,9 (2); 4. ალექსანდრე პოპოვი (ბელარუსი) — 57.53,1 (0); 5. იენს შტაინიგენი (გერმანია) — 58.18,1 (2); 6. ანდრეას ცინგერლე (იტალია) — 58.54,1 (3).

**ვაჟები. 10 კილომეტრი (23.02.94).** 1. სერგეი ჩეპიკოვი (რუსეთი) 28.07,0 (0); 2. რიკო გროსი (გერმანია) — 28.13,0 (0); 3. სერგეი ტარასოვი — 28.27,4 (1); 4. ვლადიმერ დრაჩოვი (ორივე — რუსეთი) — 28.28,9 (1); 5. ლუდვიგ გრედლერი (ავსტრია) — 29.05,4 (2); 6. ფრანკ ლუკი (გერმანია) — 29.09,7 (2).

**ქალები. 7,5 კილომეტრი (23.02.94).** 1. მირიამ ბედარი (კანადა) — 26.08,8 (2); 2. სვეტლანა პარამიგინა (ბელარუსი) — 26.09,9 (2); 3. ვალენტინა ცერბე (უკრაინა) — 26.10,0 (0); 4. ინა შეშიკლი (ყაზახეთი) — 26.13,9 (2); 5. პეტრა შააფე (გერმანია) — 26.33,6 (2); 6. ირინა კოკუევა (ბელარუსი) — 26.38,4 (2).

**ქალები. ესტაფეტა 4X7,5 კილომეტრი (25.02.94).** 1. რუსეთი (ნადეჟდა ტალანოვა, ნატალია სნიტინა, ლუიზა ნოსკოვა, ანფისა რეზცოვა) — 1:47.19,5. 2. გერმანია (ურსულა დიზლი, ანტიე მიზერსკი, სიმონა გრაინერი, პეტრა შააფი) — 1:51.16,5; 3. საფრანგეთი (კორინ ნიორიე, ვერონიკ კლოდელი, დელფინ ეიმანი, ან ბრიანი) — 1:52.28,3; 4. ნორვეგია — 1:54.08,1; 5. უკრაინა —1:54.26,5; 6. ბელარუსი — 1:54.55,1.

**ვაჟები. ესტაფეტა 4X7,5 კილომეტრი (26.02.94).** 1 გერმანია (რიკო გროსი, ფრანკ ლუკი, მარკ კირჰნერი, სვენ ფიშერი) — 1:30.22,1; 2. რუსეთი (ვალერი კირიენკო, ვლადიმერ დრაჩოვი, სერგეი ტარასოვი, სერგეი ჩეპიკოვი) — 1:31.23,6; 3. საფრანგეთი (ტიერი დიუშერი, პატრის ბეილისალენი, ლიონელ ლორენი, ერვ ფლანდენი) — 1:32.31,3; 4. ბელარუსი — 1:32.57,2. 5. ფინეთი — 1:33.11,9; 6. იტალია — 1:33.17,3.

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 1 | 1 |
| კანადა | 2 | — | — |
| გერმანია | 1 | 3 | 2 |
| საფრანგეთი | — | 1 | 2 |
| ბელარუსი | — | 1 | — |
| უკრაინა | — | — | 1 |

კანადელი, მირიამ ბედარი უდავოდ გამორჩეული ფიგურა იყო ბიატლონისტთა ოლიმპიურ ტურნირში. მან ორი ოქროს მედალი მოიპოვა (15 და 7,5-კილომეტრიან დისტანციებზე).

## ჩრდილოეთის ორჭიდი

**ვაჟები. პირადი პირველობა (19.02.94).** 1. ფრედ-ბერიე ლუნდბერგი (ნორვეგია) — 0.00,0; 2. ტაკენორი კონო (იაპონია) +1.17,5; 3. ბიორნ ენგენ ვიკი (ნორვეგია) +1.18,3; 4. კენძი ოგივარა (იაპონია) +2.08,8; 5. აგო მაარკვარდი (ესტონეთი) +2.41,9; 6. იპოლიტ კემპკი (შვეიცარია) +3.45,3.

**ვაჟები. გუნდური პირველობა (24.02.94).** 1. იაპონია (ტაკენორი კონო, მასაში აბე, კენძი ოგივარა) — 1368,860; 2. ნორვეგია (კნუტ-ტორე აპელანდი, ბიორნ-ენგენ ვიკი, ფრედ-ბერიე ლუნდბერგი) — 1310,940; 3. შვეიცარია (იპოლიტ კემპკი, ჟან-ივ კუენდე, ანდრეას შაადი) — 1275,240; 4. ესტონეთი — 1245,640; 5. ჩეხეთი — 1224,040; 6. საფრანგეთი — 1216,620.

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| ნორვეგია | 1 | 1 | 1 |
| იაპონია | 1 | 1 | — |
| შვეიცარია | — | — | 1 |

ნორვეგიელმა ფრედ-ბერიე ლუნდბერგმა და იაპონელმა ტაკენორი კონომ ოლიმპიადა ერთნაირი მაჩვენებლებით დაამთავრეს — თითო ოქროსა და ვერცხლის მედალი მიიღეს.

## სამთო თხილამურები

**ვაჟები. სწრაფდაშვება (13.02.94).** 1. ტომი მო (აშშ) — 1.45,75; 2. ჩეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) — 1.45,79; 3. ედუარდ პოდივინსკი (კანადა) — 1.45,87; 4. პატრიკ ორტლიბი (ავსტრია) — 1.46,01; 5. მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) — 1.46,09; 6. ჰანს ტრინკლი (ავსტრია) — 1.46,22... 47. ზურაბ ჯიჯიშვილი (საქართველო) — 1.53,27.

**ქალები. სუპერგიგანტური სლალომი (15.02.94).** 1. დაიანა როფი (აშშ) — 1.22,15; 2. სვეტლანა გლადიშევა (რუსეთი) — 1.22,44; 3. იზოლდა კოსტნერი (იტალია) — 1.22,45; 4. პერნილა ვიბერგი (შვეცია) — 1.22,67; 5. მორენა გალიციო (იტალია) — 1.22,73; 6. კატარინა ჰუტენზონი (გერმანია) — 1.22,84.

**ვაჟები. სუპერგიგანტური სლალომი (17.02.94).** 1. მარკუს ვასმაიერი (გერმანია) — 1.32,53; 2. ტომი მო (აშშ) — 1.32,61; 3. ჩეტილ-ანდრე ომოდტი (ნორვეგია) — 1.32,93; 4. მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) — 1.33,07; 5. ვერნერ პერატონერი (იტალია) — 1.33,10; 6. ატლე სკაარდალი (ნორვეგია) — 1.33,31.

**ქალები. სწრაფდაშვება (19.02.94).** 1. კატია ზაიცინგერი (გერმანია) — 1.35,93; 2. პიკაბო სტრიტი (აშშ) — 1.36,59; 3. იზოლდა კოსტნერი (იტალია) — 1.36,85; 4. მარტინა ერტლი (გერმანია) — 1.37,10; 5. კეიტ პეისი (კანადა) — 1.37,17; 6. მელანი სუშე (საფრანგეთი) — 1.37,34.

**ქალები. კომბინაცია. (21.02.94).** 1. პერნილა ვიბერგი (შვეცია )— 3.05,16; 2. ფრენი შნაიდერი (შვეიცარია) — 3.05,29; 3. ალენკა დოვჟანი (სლოვენია) — 3.06,64; 4. მორენა გალიციო (იტალია) — 3.06,71; 5. მარტინა ერტლი (გერმანია) — 3.08,78; 6. კატია კორენი (სლოვენია) — 3.09,59.

**ვაჟები. გიგანტური სლალომი (23.02.94).** 1. მარკუს ვასმაიერი (გერმანია) — 2.52,46; 2. ურს კელინი (შვეიცარია) — 2.52,48; 3. კრისტიან მაიერი (ავსტრია) — 2.52,58; 4. იან-ეინარ ტორსენი (ნორვეგია) — 2.52.71; 5. რაინერ ზალცგებერი (ავსტრია) — 2.52.87; 6. ნორმან ბერგამელი (იტალია) — 2.53,12.

**ქალები. გიგანტური სლალომი (24.02.94).** 1. დებორა კომპანიონი (იტალია) — 2.30,97; 2. მარტინა ერტლი (გერმანია) — 2.32,19; 3. ფრენი შნაიდერი (შვეიცარია) — 2.32,97; 4. ანიტა ვახტერი (ავსტრია) — 2.33,06; 5. კეროლ მერლი (საფრანგეთი) — 2.33,44; 6. ევა ტვარდოკენსი (აშშ) — 2.34,41.

**ვაჟები. კომბინაცია (25.02.94).** 1. ლასე კიუსი — 3.17,53; 2. ჩეტილ-ანდრე ომოდტი — 3.18,55; 3. ჰარალდ-კრისტინ ნილსენი (სამივე — ნორვეგია) —3.19,14; 4. გიუნტერ მადერი (ავსტრია) — 3.19,23; 5, ტომი მო (აშშ) —3.19,41; 6. პაულ აკოლა (შვეიცარია) — 3.19,44... ზურაბ ჯიჯიშვილმა (საქართველო) სწრაფდაშვებაში 44-ე შედეგი აჩვენა, სლალომში ვერ დაამთავრა დისტანცია და შეუფასებელი დარჩა.

**ქალები. სლალომი (26.02.94).** 1 ფრენი შნაიდერი (შვეიცარია) — 1. 56,01; 2. ელფრიდ ელერი (ავსტრია) — 1.56,35; 3. კატია კორენი (სლოვენია) — 1.56,61; 4. პერნილა ვიბერგი (შვეცია) — 1.56,68; 5. გაბრიელა ცინგრე — 1.57,80; 6. კრისტინ ფონ გრენიგენი (ორივე — შვეიცარია) — 1.57,86.

**ვაჟები. სლალომი (27.02.94).** 1. თომას შტანგასინგერი (ავსტრია) 2.02,02; 2. ალბერტო ტომბა (იტალია) — 2.02,17; 3. იურე კოსირი — 2.02,53; 4. მიტია კუნცი (ორივე —სლოვენია) —2.02,62; 5. თომას ფოგდე (შვეცია) — 2.03,05; 6. ფინ-კრისტიან იაგე (ნორვეგია) — 2.03,19... ლევან აბრამიშვილმა (საქართველო) ვერ დაამთავრა დისტანცია. იგი შეუფასებელი დარჩა.

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 1 | — |
| აშშ | 2 | 2 | — |
| ნორვეგია | 1 | 2 | 2 |
| იტალია | 1 | 1 | 2 |
| შვეიცარია | 1 | 2 | 1 |
| ავსტრია | 1 | 1 | 1 |
| შვეცია | 1 | — | — |
| რუსეთი | — | 1 | — |
| სლოვენია | — | — | 3 |
| კანადა | — | — | 1 |

ოლიმპიადის საუკეთესო სამთო-მოთხილამურე გახლავთ გერმანელი მარკუს ვასმაიერი, რომელმაც ოქროს მედლები მოიპოვა სუპერგიგანტურ და გიგანტურ სლალომში.

## ტრამპლინიდან ხტომა

**ვაჟები. დიდი ტრამპლინი — 120 მ. (20.02.94).** 1. იენს ვაისფლოგი (გერმანია) — 274,5 (129,5 და 133,0); 2. ესპენ ბრედესენი (ნორვეგია) — 266,5 (135,5 და 122,0); 3. ანდრეას გოლდბერგერი (ავსტრია) — 255,0 (128,5 და 121,5); 4. ტაკანობუ ოკაბე (იაპონია) — 243,5 (117,0 და 128,0); 5. იან მარკუს სოინინენი (ფინეთი) —231,1 (117,0 და 122,5); 6. ლასე ოტესენი (ნორვეგია)— 226,6 (117,0 და 120,0)... 55. კახა წაქაძე (საქართველო) — 62,9 (75,0 და 78,0).

**ვაჟები. დიდი ტრამპლინი — 120 მ. გუნდური შეჯიბრება (22.02.94).** 1. გერმანია (ჰანს-იორგ იაკლე, კრისტოფ დიუფნერი, დიტერ ტომა, იენს ვაისფლოგი) — 970,1; 2. იაპონია (ინიო ნიშიკატა, ტაკანობუ ოკაბე, ნორიაკი კასაი, მასაჰიკო ჰარადა) — 956,9; 3. ავსტრია (ჰაინც კუტინი, კრისტიან მოზერი, შტეფან ჰორნგახერი, ანდრეას გოლდბერგერი) — 918,9; 4. ნორვეგია — 898,8; 5. ფინეთი — 889,5; 6. საფრანგეთი — 822,1.

**ვაჟები. საშუალო ტრამპლინი — 90 მ (25.02.94).** 1. ესპენ ბრედესენი — 282,5 (100,5 და 104,0); 2. ლასე ოტესენი (ორივე—ნორვეგ.) — 268,0 (102,5 და 98,0); 3. დიტერ ტომა — 260,5 (98,5 და 102,5); 4. იენს ვაისფლოგი (ორივე — გერმანია) — 260,0 (98,0 და 96,5); 5. ნორიაკი კასაი (იაპონია) — 259,0 (98,0 და 93,0); 6. იანი მარკუს სოინინენი (ფინეთი) — 258,5 (95,0 და 100,5)... 50. კახა წაქაძე (საქართველო) — 156,5 (75,5 და 71,0).

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | — | 1 |
| ნორვეგია | 1 | 2 | — |
| იაპონია | — | 1 | — |
| ავსტრია | — | — | 2 |

გერმანელმა იენს ვაისფლოგმა პირველობა მოიპოვა დიდი ტრამპლინიდან ხტომაშიც და გუნდურ ასპარეზობაშიც. მასპინძელთა გუნდის წევრი ესპენ ბრედესენი კი პირველი იყო საშუალო ტრამპლინზე, დიდზე კი ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა.

(დასასრული იქნება)

# ყველა საგზური განაწილდა

**საერთაშორისო საჭადრაკო კალენდარში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა გოგონათა და ჭაბუკთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს. ეს ის შეჯიბრებებია, რომელთათვისაც მრავალ ქვეყანაში საგანგებოდ ემზადებიან, აწყობენ მრავალრიცხოვან შესარჩევ ტურნირებსა და შეკრებებს. ამ მხრივ, გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც საქართველოა. ამ დღეებში ჩვენთან ყველა ეს შესარჩევი შეჯიბრება დამთავრდა.**

**10 წლამდე** გოგონებს შორის პირველად გამოიჩინა თავი გორელმა ნათია ფხაკაძემ, რომელსაც ამეცადინებს დედა, საერთაშორისო ოსტატი ცაალა ქასოშვილი. ნათიამ 10 შესაძლებლიდან 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და ზაფხულში მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებს. მეორე ადგილზე 7 ქულით გავიდა თამარ ჩალაბაშვილი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება. ეს ყველა მომდევნო ასაკობრივ კატეგორიასაც ეხება; ჩემპიონები მსოფლიო პირველობაზე წავლენ, მეორენი — ევროპის პირველობაზე.

**ამავე** ასაკის ბიჭებს შორის 8 ქულით პირველ ადგილზე გავიდა გიორგი ფარესიშვილი (დუშეთი), მეორეზე (5,5 ქულით) — თბილისელი ლევან აროშიძე.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა თელაველმა ანა მათნაძემ, შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა 10 წლამდე გოგონებს შორის. წელს იგი უკვე 12-წლიანებში გამოდიოდა და 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ვნახოთ, როგორი შედეგი ექნება მას მსოფლიო ჩემპიონატში! 6,5 ქულით მეორე იყო თბილისელი სოფიკო გვეტაძე. ამავე ასაკის ყმაწვილებში გაიმარჯვა ქუთაისელმა ვალერი გაფრინდაშვილმა (10 ქულა 12-დან), 9,5 ქულით მეორე ადგილზეა ნიკა შავთვალაძე (თბილისი).

**14 წლამდე** გოგონებს შორის კვლავ კარგად ითამაშა სოხუმელმა ლტოლვილმა რუსუდან გოლეთიანმა (10 ქულა 12-დან), მეორე ადგილზეა ოზურგეთელი ნინო წიტაიშვილი (7,5 ქულა).

**ყმაწვილებს** შორის 7,5 ქულით პირველი იყო ადრინდელი მსოფლიო ჩემპიონი 12-წლიანთა შორის გიორგი ბახტაძე (თბილისი). ამის შემდეგ მას და კიდევ რამდენიმე ჭაბუკსა და გოგონას უფლება მიეცათ უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფში ეთამაშათ. მეორე ადგილი 14-წლიან ყმაწვილებში თბილისელ ვახტანგ ჩიქოვანს დარჩა (5,5 ქულა).

**18 წლამდე** გოგონებს შორის 7 ქულით პირველი იყო ქუთაისელი ნათია აფხაიძე, 6,5 ქულით მეორე, ასევე ქუთაისელი, სოფიკო ტყეშელაშვილი. ჭაბუკებს შორის გაიმარჯვა თბილისელმა სერგო მოვსესიანმა (8 ქულა). მას ერთი ქულით ჩამორჩა რუსთაველი თამაზ გელაშვილი.

**ამ** შეჯიბრებების დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო შესარჩევი ასპარეზობა 18 წლამდე ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შორის. აქ გაითამაშეს მხოლოდ ერთი საგზური — მსოფლიო პირველობისა, ვინაიდან ევროპის პირველობა ამ ასაკში არ იმართება.

გოგონებში პირველი სამი ადგილი გაიყვეს თბილისელებმა, მირანდა ხორავამ, თამარ ფაჩულიამ და ბათუმელმა დიანა დარჩიამ (7,5 ქულა თითოეულს). პირველი პრიზიორის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი შეჯიბრება სწრაფ ჭადრაკში, სადაც გაიმარჯვა ხორავამ.

ახალგაზრდებში ყველაზე კარგად იასპარეზა გიორგი ყაჭეიშვილმა (თბილისი), რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს თამაზ გელაშვილმა (რუსთავი) და ალექსანდრე მაკარაშვილმა (თბილისი).

**ბავიდა** კიდევ რამდენიმე დღეც და გაიმართა შეჯიბრება 20 წლამდე ქალიშვილებსა და ახალგაზრდებს შორის. უფრო უმცროსი მოჭადრაკეების მონაწილეობით ზოგმა სამ ასაკობრივ ჯგუფშიც კი ითამაშა.

მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა გოგონებს შორის. რუსუდან გოლეთიანი, რომელმაც უკვე მოიპოვა 14 წლამდე გოგონათა მსოფლიო პირველობაზე თამაშის უფლება, ახლა შეეცადა ამ ასაკში გაემარჯვა (მსოფლიო ჩემპიონატები ხომ სხვადასხვა დროს იმართება). გოლეთიანი ამჯერადაც ახლოს იყო მიზანთან — ბოლო ტურის წინ 6,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობდა, მაგრამ ამ ტურში დამარცხდა ინგა ხურცილავასთან. ამის შემდეგ 7-7 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ინგა ხურცილავამ და ნატო ეძგვერაძემ. უკეთესი დამატებითი მონაცემებით მსოფლიო პირველობაზე ნატო ეძგვერაძე გაემგზავრება, ხოლო ევროპის პირველობაზე — ინგა ხურცილავა.

ჭაბუკთა ასპარეზობაში აშკარად გამოირჩეოდა სამი მოჭადრაკე — გიორგი ბახტაძე, გიორგი ყაჭეიშვილი და სერგო მოვსესიანი, საბოლოოდ 7-7 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ბახტაძემ და ყაჭეიშვილმა. უკეთესი დამატებითი მონაცემებით პირველი პრიზი წილად ხვდა ბახტაძეს, რომელიც, ამრიგად, ორ მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებს — 14-წლიანთა და 20-წლიანთა შორის, ყაჭეიშვილი კი ევროპის ჩემპიონატში გამოვა.

**ვიკა [illegible]**

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი

### I-X ადგილებისთვის

II ტური, 16 მარტი

„შევარდენი-1906“ (თბილისი)— „დინამო“ (თბილისი) 0-2. მსაჯები: თ. მაჭარაძე, თ. მელაძე, ვ. ზერძენიშვილი (ყველანი — ხონი).

„შევარდენი-1906“: ქანტურია, ელიაშვილი, კვირტაძიანი, მელქაძე, ჯიშკარიანი, ნადირაძე, ქორჩილაძე, გოგიტიძე, გოგიჩაიშვილი, ჯიქია (რუსია), ჯანაშია; „დინამო“: ჩხეიძე, ზერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, კიკნაძე, რევიშვილი, ინალიშვილი, ნემსაძე, იაშვილი, ყაველაშვილი, ანჩაბაძე.

გოლები: რევიშვილი, კიკნაძე.

გააფრთხილეს ლობჟანიძე, შემდეგ გააძევეს.

სპეციალისტები სწორედ ამ მეტოქეებს მიიჩნევენ საპრიზო ადგილების პრეტენდენტებად, გარდა ამისა, ორთავე გუნდში მრავლად არიან საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები. ამიტომაც ყველა ინტერესით მოელოდა ამ შეხვედრას.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. „შევარდენმა“ უფრო აქტიურად დაიწყო, შეტევის მარჯვენა ფლანგზე მოქმედმა გოგიჩაიშვილმა და ცენტრფორვარდმა ჯანაშიამ მრავალი სიძნელე შეუქმნეს დინამოელთა მცველებს. ტაიმის შუაგულში ჩემპიონმა თანდათან გამოასწორა თამაში და რამდენიმეჯერ სახიფათოდ შეუტია. ერთ-ერთი იერიშისას ყაველაშვილმა მარჯვენა ფლანგიდან სახიფათოდ ჩააწოდა მეტოქის კარის გასწვრივ, ანჩაბაძე პირველი გაჩნდა ბურთთან, რბილად დაუგორა კარგ პოზიციაში მდგომ რევიშვილს, რომელსაც არ გასჭირვებია გოლის გატანა.

მეორე ნახევარში „შევარდენის“ უპირატესობა უფრო გამოიკვეთა, მაგრამ მისი შეტევები უსისტემო, ქაოსური იყო. დაგვამახსოვრდა ჯანაშიას ორი „მაკრატელა“ დარტყმა, ჯიშკარიანის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმა (ჩინებულად ითამაშა მეკარე ჩხეიძემ).

მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე დინამოელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, მარცხენა ფრთიდან რევიშვილმა მაღალი ბურთი მიაწოდა კიკნაძეს, ეს უკანასკნელი თავით მიწვდა ბურთს და მეორედ აიღო „შევარდენის“ კარი. აქვე ლობჟანიძემ უდიერად მიმართა მსაჯს, რისთვისაც გაფრთხილება მიიღო. ფეხბურთელი შეეპასუხა არბიტრს და უმალვე წითელი ბარათიც „დაიმსახურა“ (მატჩის დამთავრების შემდეგ ლობჟანიძემ ბოდიში მოუხადა თ. მაჭარაძეს).

* * *

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 5-1.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 4-0.

„დინამო“ (ბათუმი) — „ივერია“ (ხაშური) 0-0.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „დილა“ (გორი) 3-1.

### XI-XIX ადგილებისთვის

II ტური, 17 მარტი

„ოდიში“ (ზუგდიდი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა). თერჯოლელები ვერ ჩამოვიდნენ ზუგდიდში ტრანსპორტის მწყობრიდან გამოსვლის გამო.

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1-6.

„შუქურა“ (ქობულეთი) — „მრეტები“ (თბილისი) 1-0.

„კახეთი“ (თელავი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 7-3.

---

კიმოთე ალიაშვილი

# ალტაცება

## სადღეგრძელოს მაგიერ

**საქართველოში** ფალავნებს და ჯან-ღონით სავსე ხალხს რა გამოლევს. მეც ბევრი გამიგია, მინახავს, ვიცნობდი. ახლაც ბევრთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. თუ ტრაბახად არ ჩამომართმევთ, მომსწრე ვარ, ხშირად ვხვდებოდი სანდრო კანდელაკს, არსენ მეკოკიშვილს, მათ ვაჟიშვილებს ოთარს და გოგის. ახლოს მეგობრული ურთიერთობა მქონდა სულგანათლებულ შოთა სალუქვაძესთან, დოდო აბაშიძესთან, თენგიზ კეკელიძესთან...

ღმერთმა დღეგრძელად ამყოფოს გივი კარტოზია, ფენომენალური ძალის კაცი, დღევანდელი მოქმედი სპორტსმენები. მოჭიდავეები, მკლავჭიდელები, ყველას რა ჩამოთვლის? საქართველო არ დაბერებულა. არც დაბერდება და ვერც ვერავინ გადააშენებს...

...თავად ლევან თედიაშვილი ხალიჩაზეც მინახავს, ცხოვრებაშიც. ჩემდა სავალალოდ, მისი უდროო ჭირის დღესაც მოვესწარი. იმ უბედურმა დღეებმა, რატომღაც შავი მარმარილოს ლოდის წარმოდგენით შემატოვა მეხსიერებაში. ალბათ, ასეც შემახსოვრებოდა ჩემი სიცოცხლის ბოლომდე. ამას წინათ, რომ სულ რამდენიმე წუთით არ შევხვედროდი...

არავინ იფიქროს მე მისი ტიტულების ჩამოთვლას ან სპორტული ცხოვრების აღწერას დავიწყებ. ამისათვის ცალკე წიგნია დასაწერი, სულ სხვა რამ მინდა ვთქვა, სულ ერთი პატარა შტრიხი.

ამასთან, არც ის მინდა გამოვტოვო, რომ კარგად მახსოვს ლევან თედიაშვილი ცინოვკანზეც. რაც ცილში იყო, ის ჩვენი სახელოვანი რეჟისორის გიორგი შენგელაიას ნიშს მივაწერე. კარგად გახსნა გონივრი, ძლიერი კაცის ალალი ბუნება-მეტქი, მაგრამ...

აღარ ვიცი საიდან დავიწყო მისი პორტრეტი:

რაც ყველაზე მეტად. მეცა თვალში და გამაოცა, შავი მარმარილოს ფერი უცებ გაქრა. თურმე თეთრი, ნათელი სახის უკიდურესობამდე გულღია კაცი ყოფილა. უყურებ და გსიამოვნებს, გიკვირს კიდევაც, მაგრამ გიხარია, რომ ასეთი გულწრფელი, ალალი ვაჟკაცები კიდევ არიან.

როგორც ახლა ვხვდები ის შავი მარმარილოს ასოციაცია თალხმა სამგლოვიარო ტანსაცმელმა და სახეზე დაღვრილმა ჩამქრალმა ნაღველმა დამიტოვა, ალბათ.

ღია ფერის სახე და ცოცხალი, მოძრავი თვალები, მადლიანი ღიმილი და ტკბილი სიტყვა. შეუფარავი აზრი და უშრეტი ენერგია...

არა, სიტყვით ვერ აღწერ ამ კაცს. უნდა ნახო, გაიცნო, აღიქვა.

სახეზე აწერია, სხეულში გამოსჭვივის: ალალმართლობა! ალალმართლობა! ალალმართლობა! მის ირგვლივ ატმოსფერო სიკეთით არის გაჟღენთილი. ზოგიერთს ჰგონია ნიჭიერი შემოქმედის განსაკუთრებული მოვლენა მხოლოდ მუსიკაში, მწერლობაში, ხატვაში მჟღავნდება.

არა, ბატონო, ლევან თედიაშვილი ჭიდაობის ბეთჰოვენია. კარუზოა, დოსტოევსკია... ნუ გაიოცებთ. სწორედ რომ ასეა! აღარასოდეს გამეორდება ლევან თედიაშვილი. ასეთი გონებით, ნებით, ძალით, ხასიათით... დანამდვილით, ჯეროვნად, ვერ ვიყენებთ მის სპორტულ ტალანტს.

აბა, წარმოიდგინეთ ფიროსმანისათვის ხატვა აეკრძალათ. გალაკტიონისთვის — ლექსის წერა, სარაჯიშვილისთვის — სიმღერა.

ქართველ კაცს რომ ვენახი მოუსპო და ყურძნის დაწურვის უფლება არ მისცე, სიმღერა და ცეკვა დაუშალო?!

...

ახლა, სხეულზე ცოტა ქონი აქვს მოდებული, მაგრამ ეს სიმსუქნე ვერ აცხრობს მის უშრეტ ძალისა და ენერგიის. სამაგიეროდ, სიკეთე გამოაქვს საამქვეყნოზე.

ღმერთმა გაგიმარჯოს ძმაო, ლევან!

შენს მამქმნელ-გამჩენს გაუმარჯოს!!

ჩვენს ქვეყანას ვენაცვალეთ შენნაირი ჯილდოსათვის!!!

ჟურნალისტებმა რედაქციაში წერილი რომ მივიტანე, მითხრეს — ამ დღეებში შენი დაბადების დღე ყოფილა — გილოცავ, ლევან!

---

# საქართველოს თასზე

**12 მარტს გაიმართა საქართველოს საფეხბურთო თასის მეოთხე გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩები.**

**„შევარდენი-1906“** (თბილისი)— **„მალაროელი“ (ჭიათურა)** 6-2. მსაჯები: ჯ. წერეთელი, მ. ფოლადაშვილი (ორივე — რუსთავი), ზ. ლუცაბაძე (თბილისი).

„შევარდენი-1906“: ქანტურია, ელიაშვილი, კვირტაძიანი, მელქაძე, გ. ჯიშკარიანი, ნადირაძე, ტარტარაშვილი (დანელია), გოგიტიძე, გოგიჩაიშვილი, ჯიქია (მუკბა), ზ. ჯანაშია; „მალაროელი“: გვილესიანი, იოსაშვილი, სამხარაძე, შეყლაშვილი, კაპარიძე, შაპიძე, ბრეგვაძე (აბრამიშვილი), ბუიშვილი, სამხარაძე, წიკლაური, ხარიშვილი.

გოლები: ჯიქია-2, გოგიჩაიშვილი-2, წიკლაური-2 (ერთი — პენალტით), ჯანაშია.

„მალაროელის“ შეხვედრა თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე თავიდანვე პრობლემატურად გვეჩვენებოდა: კლუბი ბოლო ხანს ხუთმა ძირითადმა მოთამაშემ დატოვა, ამიტომაც გასაგებია, რა ძნელად გადასალახავი პრობლემები შეექმნა გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელს დავით კიპარიძეს (მან თეიმურაზ გრძელიშვილი შეცვალა).

წვიმიანი ამინდის მიუხედავად მასპინძლებმა სწრაფად შეუტიეს, განსაკუთრებით აქტიურობდა მარჯვენა ფლანგზე კახი გოგიჩაიშვილი, რომლის სახიფათო გარღვევებს სტუმართა მცველებმა ვერაფერი დაუპირისპირეს.

მას შემდეგ, რაც მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელებმა მესამე ბურთი გაიტანეს, მათ საქმე დამთავრებულად ჩათვალეს, მოეშვნენ და დაისაჯნენ კიდეც. ჯერ იყო და ნადირაძემ საკუთარ საჯარიმო მოედანზე სამხარაძე წააქცია, რისთვისაც 11-მეტრიანი დაინიშნა, შემდეგ კი სტუმრების ერთ-ერთი ეპიზოდური შეტევისას უმეთვალყუროდ დარჩენილმა წიკლაურმა ხელიდან არ გაუშვა თავისი შანსი და ანგარიში 3-2 გახდა.

მასპინძლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს კვლავ დაებრუნებინათ სათამაშო უპირატესობა, რაც შესაბამისად გოლებში გამოხატეს კიდეც.

**„გურია“ (ლანჩხუთი)—„დურუჯი“ (ყვარელი)** 4-1. მსაჯები: მ. ჯულაყიძე, ლ. მიქელაძე (ორივე — სამტრედია), ვ. გვიჩია (ლანჩხუთი).

გოლები: ფრიდონაშვილი, გოგოლაძე-2, ბუცურეიშვილი („გურია“), ხუბეჯიშვილი („დურუჯი“).

**„სამგურალი“ (წყალტუბო)— „არაგვი“ (დუშეთი)** 6-2. მსაჯები: ს. კახიანი, თ. ახალკურიანი (ორივე — სამტრედია), ა. გაბრიაძე (ქუთაისი).

გოლები: ჯანელიძე, გუბელაძე, ხურციძლავა, იობიძე-2 („სამგურალი“), ზედგინიძე, მიმინოშვილი („არაგვი“).

**„სამტრედია“ (სამტრედია)— „დინამო“ (ბათუმი)** 1-0. მსაჯები: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), გ. მიქაუტაძე (ქუთაისი), გ. ნაკაიძე (ლანჩხუთი).

გოლი: გენძეხაძე.

გააფრთხილეს მახარაძე, ბალაძე, შეყილაძე („დინამო“).

**„კოლხეთი-1913“ (ფოთი)— „დილა“ (გორი)** 6-0. მსაჯები: ა. შილაკაძე, ე. სილაგავა, გ. ტაბატაძე (ყველა — თბილისი).

გოლები: ცომაია, კიკლიაშვილი, ჯულელი-2 (ერთი პენალტით), დარასელია-2.

გააფრთხილეს თარხნიშვილი („დილა“).

**„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ივერია“ (ხაშური)** 4-1. მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), გ. ასკარ-ოღლი, თ. ჩაგელიშვილი (ორივე — ქარელი).

გოლები: გ. კილასონია-3 (ერთი — პენალტით), გ. კილასონია („მეტალურგი“), ქობელაშვილი — პენალტით („ივერია“).

ამრიგად, თასის გათამაშების მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისის „დინამომ“, „თეთრმა არწივმა“, „შევარდენი-1906“-მა, „გურიამ“, „სამგურალმა“, ბათუმის „დინამომ“, „კოლხეთი-1913“-მა და „მეტალურგმა“.

14 მარტს გაიმართა წილისყრა. მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:

„დინამო“ (თბილისი)—„სამგურალი“ (წყალტუბო)

„გურია“ (ლანჩხუთი)—„დინამო“ (ბათუმი)

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი)

„მეტალურგი“ (რუსთავი)—„თეთრი არწივი“ (თბილისი)

პირველი მატჩები გაიმართება 26 მარტს, განმეორებითი — 6 აპრილს.

---

# [illegible]

**როგორც იცით, უეფას ბოლო ხანებში საგრძნობლად გაზარდა მოთხოვნები არბიტრების მიმართ, განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა მათ ფიზიკურ მომზადებას. ძირითადი მოთხოვნაა ის, რომ მსაჯი მატჩის ყველა ეპიზოდში რაც შეიძლება ახლოს იყოს სათამაშო სიტუაციებთან.**

**შარშან საერთაშორისო სარბიელზე წარგზავნილი 8 არბიტრიდან მხოლოდ ერთმა — ხურამულმა თამაზ ლაცაბიძემ — შეძლო ნორმატივით ჩაებარებინა უეფას ნორმატივები და საქართველოს სახელით პირველი მსაჯი გახდა, რომელსაც რეკომენდაცია მიეცა მოემსახუროს საერთაშორისო ოფიციალურ** შეჯიბრებებს. და აი წლეულს ჩვენმა მეორე თანამემამულემ — 37 წლის ლანჩხუთელმა ოთარ გუნთაძემ მოიპოვა ეს უფლება.

ამას წინათ რომში უეფას თაოსნობით მოეწყო ახალგაზრდა პერსპექტიული არბიტრთა მესამე შეკრება. მისი უშუალო ორგანიზატორები იყვნენ უეფას სამსაჯო კომიტეტი და სამდივნო, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია და მსაჯთა ასოციაცია. შეკრებაზე ოფიციალურად გამოაცხადეს სხვადასხვა ქვეყნის 33 არბიტრი, მათ შორის ოთარ გუნთაძეც, რომელსაც თან ახლდნენ საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტი ავთანდილ კოკაია და თარჯიმანი, პროფესორი ივანე ცაგარეიშვილი.

ქართველები იტალიაში გულთბილად მიიღეს, შეკრების ორგანიზაციული დონე მეტად მაღალი იყო, ნორმატივების ჩაბარება რომის ოლიმპიურ სტადიონზე მიმდინარეობდა.

როგორც მოგვიყვნენ, ოთარ გუნთაძე ძალიან ღელავდა, მაგრამ შემდეგ წარმატებით გაირბინა 50 და 200 მეტრი (ორ-ორჯერ) და დადგენილ დროში ჩაეტია, მაგრამ წინ ყველაზე საპასუხისმგებლო გამოცდა ელოდა: ტესტ-კუპერის ჩაბარება, რომელიც შარშან ჩვენი არბიტრებისათვის „აქილევსის ქუსლად“ იქცა.

ტესტ-კუპერის ნორმატივი 12 წუთში 2700 მეტრის დაფარვას გულისხმობს, ოთარმა „გადაჭარბებით“ შეასრულა ამოცანა. — 2970 მეტრი გაირბინა, ეს ამ შეკრებაზე ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ. კარგი ცოდნა გამოამჟღავნა ჩვენმა თანამემამულემ თეორიულ მეცადინეობებზეც.

იტალიიდან დაბრუნებულმა საქართველოს დელეგაციის წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს ის დიდი სითბო, რომელიც მათ მიმართ გამოიჩინეს უეფას მუშაკებმა. საკმარისი იყო ა. კოკაიას საუბარი წამოეწყო საქართველოს მსაჯთა ასოციაციის წინაშე მდგარ პრობლემებზე, მაშინვე შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა დახმარებოდნენ ქართველ კოლეგებს. ამ მიზნით, მაგალითად, გადაწყდა და ივლისში თბილისში ჩამოვა უეფას სამსაჯო კომიტეტის მუშა-ჯგუფი, რომელიც ადგილზე შეისწავლის არსებულ მდგომარეობას და სათანადო რეკომენდაციებს შეიმუშავებს.

დელეგაციის ნაყოფიერ საქმიანობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მას თარჯიმნად ჰყავდა ნამდვილი პოლიგლოტი ივანე ცაგარეიშვილი, რომელიც 6 ენას ფლობს, მშვენივრად ერკვევა სპორტულ ტერმინოლოგიაში და, კერძოდ, ფეხბურთში. ი. ცაგარეიშვილი აგრეთვე თარჯიმნობას უწევდა მსაჯებს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, რისთვისაც მას მადლობა გადაუხადეს.

თამაზ ლაცაბიძე, ოთარ გუნთაძე... ვინ იქნება შემდეგი?

* * *

**12 მარტს** შედგა საქართველოს მსაჯთა ასოციაციის სამდივნოს სხდომა, რომელზეც განიხილეს 8 მარტს ზესტაფონში მომხდარი ინციდენტი (ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველი ტურის მატჩი „მარგვეთი“— შევარდენი-1906“). ამის შესახებ „ლელომ“ გაუწყათ წინა ნომერში.

სამდივნომ აღნიშნა, რომ ინციდენტი გამოწვეულია მთავარი მსაჯის მალხაზ კობაიშვილისა და გვერდითი მსაჯის ლევან მგელაძის ურთიერთშეუთანხმებლობით. მ. კობაიშვილი მსაჯობიდან გადაყენებულია ერთი თვით და დაჯარიმდა 3 მილიონი კუპონით, ხოლო მგელაძე — ორი თვით და 1,5 მილიონი კუპონით.

საბოლოო გადაწყვეტილებას ზესტაფონის მატჩის თაობაზე მიიღებს სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტი.

---

# კარგად ნაცნობი სურათი

ბოლოდროინდელ რესპუბლიკურ პირად ჩემპიონატებს ვინც თვალს ადევნებს, შეამჩნევდა, რომ მონაწილეთა კონტინგენტი უმთავრესად „მართვესა“ და „შევარდენის“ წარმომადგენლებზე მოდის. ასეა, მაგალითად, ჭიდაობებში, კრივში... ეს ტრადიცია არც ველომრბოლელებს დაურღვევიათ და ამ დღეებში გამართულ საქართველოს ზამთრის პირად პირველობაზე საგზატკეცილო რბოლაში ტრასებზე მარტო ამ საზოგადოებების წარმომადგენლები, უფრო ზუსტად კი მათი სპორტსკოლების აღსაზრდელები იყვნენ.

ამ შეჯიბრების ჩასატარებლად რესპუბლიკის სპორტული დეპარტამენტის დახმარებით გამოინახა საშუალება ის მინიმალური რაოდენობა, რაც გასწევდა მსაჯთა კოლეგიის, ავტოინსპექციისა და სამედიცინო პერსონალის ასპარეზობის სათანადო მომსახურებისთვის.

რბოლის ეტაპები მეტწილად ქუჩების მთაგორიან მიდამოებში გაიმართა, ბრძოლა საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა, არ იყო გამორიცხული ყოველგვარი მოულოდნელობანი...

ასპარეზობის ტექნიკური შედეგები ასეთია:

**ინდივიდუალური რბოლა** — სამთო ეტაპი 2 კმ (კუს ტბა).

1. ნუგზარ ტარტარაშვილი („შევარდენი“, თბილისი) 7.22,30, 2. ვალერი პაპკიაური („მართვე“, რუსთავი) 7.48.20, 3. ლევან პაპაშვილი („მართვე“, თბილისი) 7.48.60.

**ინდივიდუალური რბოლა** — სამთო ეტაპი 2X2 კმ. 1. დავით შავგულიძე („მართვე“, ქუთაისი) 15,07.35, 2. ვალერი პაპკიაური („მართვე“, რუსთავი) 16.06,41, 3. ლევან პაპაშვილი („მართვე“, თბილისი) 16.08.09.

**ჯგუფური რბოლა** — 46 კმ თბილისი — ნატახტარი — ჯვარი. 1. ნუგზარ ტარტარაშვილი („შევარდენი“, თბილისი) 55.01,00, 2. ვალერი პაპკიაური („მართვე“, რუსთავი) 55.05.30, 3. დავით შავგულიძე („მართვე“, ქუთაისი) 55.05,30.

**ინდივიდუალური რბოლა** —სამთო ეტაპი 2 კმ. 1. რომან ცხოვრებაძე („მართვე“, თბილისი) 7.34.20, 2. კონსტანტინე ჩოხლაძე („შევარდენი“, თბილისი) 8.20.15, 3. დიმიტრი შალიკაშვილი („შევარდენი“, თბილისი) 8.26.00.

იან ფეკეტე

# „საფეხბურთო დეკამერონი“

## ლეგენდები გოლის შესახებ

**საფეხბურთო** სტატისტიკაში განსაკუთრებული ადგილი მარათონულ შეჯიბრებებს უჭირავს, თუმცა ისინი, რა თქმა უნდა, ზოგჯერ წინასწარ დადგმულ სანახაობათა სფეროს უნდა მივაკუთვნოთ ხოლმე. 1975 წელს ახალ ზელანდიაში ერთმანეთს ორი ადგილობრივი გუნდი შეხვდა, მათ 31 საათი და 30 წუთი ითამაშეს, ამ „მატჩში“ 168 გოლი გავიდა. 1979 წელს ფინეთში ამ რეკორდს 2 საათით გადააჭარბეს, იმავე წელს იუგოსლავიაში, ქ. ნოვე გორიცაში ორი გუნდის შეჯიბრება 101 საათს გაგრძელდა, ეს კი ოთხი დღე-ღამე გახლავთ! თითოეულ გუნდში 32 მოთამაშე იყო, ყოველმა მათგანმა დაახლოებით 400 კილომეტრი გაირბინა. ამ ხნის განმავლობაში მოთამაშეებმა დიდძალი საჭმელი მიირთვეს — 250 მოზრდილი პური, 170 კგ ბოსტნეული და 700 ლიტრი ჩაი. იყო ისეთი „მატჩიც“ ბრაზილიელ და ინგლისელ ფეხბურთელებს შორის, რომელიც 10 საათს გაგრძელდა და დასრულდა ანგარიშით 1453:1204, მაგრამ მკითხველს შეცდომაში ნუ შევიყვანთ, ეს მაგიდის ფეხბურთი [illegible]ლდათ.

1981 წელს უნ[illegible]ვთის ქალაქ ნიირგიჰაში ასეთი თავისებური შეხვედრა მოეწყო ახალგაზრდა ფეხბურთელებს შორის: თითოეულ გუნდში 7-7 მოთამაშე იყო კიდევ 7-7 სათადარიგო გაჰქონდათ და ნებისმიერ დროს შეეძლო ინდორზე გამოსვლა. შეხვედრა, რომელმაც 20 საათს გასტანა, ექიმების მეთვალყურეობით მიმდინარეობდა, მასში აღინიშნა ანგარიში 237:223.

როცა იუგოსლავიაში 1982-83 წლების სეზონი დამთავრდა, ძველი მეტოქეების, პოპულარული გუნდების „ცრვენა ზვეზდასა“ და „პარტიზანის“ გულშემატკივრებმა არნახული „ასპარეზობა“ მოაწყეს 25-25 მოთამაშის მონაწილეობით. იგი 40 საათს გაგრძელდა და დამთავრდა „პარტიზანის“ გულშემატკივართა გამარჯვებით — 376:238.

აი, კიდევ ერთი „მიღწევაც“. 1976 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ეგერჰაუზენში სრულიად უჩვეულო სანახაობა მოეწყო: „ეგერჰაუზენის“ ახალგაზრდა ფეხბურთელები 27 საათის განმავლობაში 18 მატჩს ეთამაშნენ „ჰესენის“ გუნდს. ეგერჰაუზენელებმა 8 შეხვედრაში გაიმარჯვეს, 3 ფრედ დაამთავრეს და 7 წააგეს. საბოლოოდ გამარჯვებულებს, ეს კი საკმაოდ იშვიათად ხდება, ბურთების უარესი სხვაობა ჰქონდათ: 88-110.

ასე არ უნდაო და 1978 წელს სიდნეიში (ავსტრალია) ორი გუნდი 11-11 ფეხბურთელის შემადგენლობით 42 საათს ეთამაშებოდა ერთმანეთს. აქ აღინიშნა ანგარიში 204:194. და აი რა იყო უცნაური: მაყურებელთაგან ბევრი გადაიღალა, ბევრს გულიც შეუღონდა, ფეხბურთელები კი კაჟივით იყვნენ, მათ ბოლომდე გაუძლეს ამ არნახულ დატვირთვას.

ასეთმა მაგალითებმა კიოლნელი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) სტუდენტებიც შეაგულიანეს, ორი გუნდი 18 საათს ეთამაშებოდა ერთმანეთს და ანგარიშიც ისეთივე უცნაური იყო, როგორც მთელი ეს მატჩი — 59:59.

სოლიდურ გერმანელებს არც არანაკლებ სოლიდური ინგლისელები ჩამორჩნენ: დაახლოებით 16 საათს მიმდინარეობდა მატჩი ლონდონის უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაკრებსა და ამავე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის. წინასწარი გეგმით თამაში 24 საათს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ორივე მხარე ერთობ უხეშად თამაშობდა, სტუდენტები სრულიადაც არ ერიდებოდნენ და არც ინდობდნენ თავიანთ მასწავლებლებს, ამის შედეგად ბევრი ფეხბურთელი დაშავდა და ორგანიზატორებსაც, მეტი რაღა ჩარა იყო, შეხვედრის ადრე დამთავრება მოუხდათ. მაინც რამდენ ხანს გასტანა ამ მატჩმა? იგი სალამოს რვის ნახევარზე დაიწყო და მეორე დღეს სადილობისას დამთავრდა. სულ 117 გოლი გავიდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს შეხვედრა საქველმოქმედო მიზნით მოეწყო, მატჩს ბევრი მაყურებელი დაესწრო, შემოსული თანხით კი შეიძინეს მრავალი საჭირო რამ უნივერსიტეტის საავადმყოფოსთვის.

სლოვაკურიდან თარგმნა
**ბიჭი ბამრეკელმა**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 4, 6.

# ლევან ყანჩაველი



კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, უკანასკნელი მოჰიკანი წავიდა ქართული ტანვარჯიშიდან, რომლის სათავეებს იგი ჰედდა გიორგი ეგნატაშვილთან, გაიოზ ბერელაშვილთან, არჩილ ბაქრაძესთან, გული რცხილაძესთან, პავლე რომანიშვილთან, გოგლიკო ბაბილოძესთან, ალექსანდრე ჯორჯაძესთან და სხვებთან ერთად.

ახალციხეში დაიბადა 1908 წელს, აქვე ეზიარა ტანვარჯიშს, მძლეოსნობას, ცურვას, მერე თბილისში გადმოვიდა პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში სასწავლებლად, რომლის დამთავრების შემდეგ ჯერ სახელმწიფო უნივერსიტეტის, შემდეგ კი ამიერკავკასიის ენერგეტიკული ინსტიტუტის კარი შეაღო. სტუდენტი ჰაბუკი ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში პარალელურად ასწავლიდა ტანვარჯიშსა და არითმეტიკას.

ლ. ყანჩაველი შეჯიბრებებში უცვლელად მონაწილეობდა — რესპუბლიკური იქნებოდა ეს, ამიერკავკასიისა თუ საკავშირო. 1928 წელს საქართველოს პირველ სპარტაკიადაზე მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა, მეორე იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპარტაკიადაშიც. სულ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპარტაკიადებში 11-ჯერ გამოვიდა და აქედან რვაჯერ პირველი იყო. თვალსაჩინო წარმატებებისათვის ერთ-ერთ პირველს მიენიჭა 1941 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

დიდია ლევან ყანჩაველის დამსახურება ქართული სტუდენტური სპორტის განვითარებაში. დიდხანს წარმატებით ხელმძღვანელობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, საარტილერიო სასწავლებლის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კათედრებს, 1967 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

85 წელს გადაცილებული ვეტერანი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ წყვეტდა კავშირს საყვარელ სპორტთან — მუშაობდა ფიზკულტურის ტექნიკუმში პედაგოგად.

**საქართველოს სპორტის დეპარტამენტი;**
**ტანვარჯიშის სახეობათა რესპუბლიკური ფედერაცია.**

# როგორ მოვიზიდოთ მაყურებელი

აი, ასეთი თავსატეხი საკითხი დგას ახლა ნებისმიერ საჭადრაკო შეჯიბრებათა ორგანიზატორების წინაშე.

ესპანეთის ქალაქ ლინარესს ხშირად საჭადრაკო სამყაროს დედაქალაქს უწოდებენ: აქ იმართება სუპერტურნირები, პრეტენდენტთა მატჩებში და ა. შ., მაგრამ აი რას იუწყებიან ჟურნალისტები, რომლებიც აქ კარპოვ-შორტის მატჩს ესწრებოდნენ.

„მაყურებლები თითქმის არ იყვნენ. ბილეთი 2000 პესეტი (დაახლოებით 20 დოლარი) ღირდა, ეს კი აქ მეტად ძვირია. ერთ დღეს მატჩს 13 მაყურებელი დაესწრო (ეს უკვე სარეკორდო რიცხვი იყო, სხვა დროს ხომ სულ სამი-ოთხი კაცი თუ მოდიოდა), აქედან ორი იაპონელი „შო-გის“ პროფესიონალი იყო (ჭადრაკის იაპონური ვარიანტი). მათ უნდოდათ ჩვენებურ ჭადრაკს გაცნობოდნენ, მაგრამ არ მოეწონათ (პრიმიტიული თამაშია. შო-გი კი უფრო ღრმაა“). ტრიკ-ტრაკის (ნარდის) ორი ჰოლანდიელი სპეციალისტი მოვიდა, რომლებიც ჭადრაკის მოყვარულები გამოდგნენ. როცა მერვე პარტია წააგო, კა[illegible]ოვი გულის გადასაყოლებლად ერთ-ერთ მათგანს დილის 4 საათამდე ნარდს ეთამაშა, დამარცხდა და იძულებული გახდა 300-დოლარიანი ჩეკისთვის მოეწერა ხელი. მეორე დღეს მონარდეები გაქრნენ ისე, რომ არც უცდიათ ჩეკის განაღდება. ეტყობა, არჩიეს იგი ისტორიულ დოკუმენტად შეენახათ...

მატჩს ესწრებოდნენ ლიუბოევიჩი და სალოვი, მაგრამ ისინი ლინარესის მუდმივი მაცხოვრებლები არიან. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი მაყურებელი თვალითაც არ გვინახავს...

**ბიჭი თორელი**

# ფრთაშესხმული კარპოვი

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირს ლინარესში გულშემატკივრები ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესით ელიან. საქმე ის არის, რომ მისი ორგანიზატორი ლუის რენტერო ყოველთვის ახერხებს იმას, რაც სხვებისთვის ხელმიუწვდომელია — თავს უყრის მსოფლიოს ყველა საუკეთესო მოჭადრაკეს. ასე იყო შარშანაც, როდესაც გარი კასპაროვმა გაიმარჯვა, ასე იყო შემდეგაც. რა თქმა უნდა, მთავარი „ატრაქციონი“ უნდა ყოფილიყო მსოფლიოს ორი ჩემპიონის — კასპაროვისა და კარპოვის ახალი შეტაკება, მაგრამ ბრძოლაში ჩაებნენ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტებიც: ვიშვანათჰან ანანდი (ინდოეთი), გატა კამსკი (აშშ), ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი), ბორის გელფანდი (ბელარუსი), საოცარი ძალის უნგრელი მოჭადრაკე ქალი იუდით პოლგარი და სხვა განთქმული დიდოსტატები.

რამდენადმე მოულოდნელი გამოდგა ის ამბავი, რომ კასპაროვმა ამჯერად სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია კარპოვს. რა მოხდა? ეტყობა, კარპოვს ფრთები შეასხა მსოფლიო ჩემპიონის წოდების დაბრუნებამ. ყოველ შემთხვევაში, ასე აგრესიულად ბოლო წლებში მას არ უთამაშია. შეჯიბრების პირველი ნახევარი კარპოვმა დაამთავრა არნახული შედეგით — მოიგო ყველა ექვსივე პარტია, ამასობაში კასპაროვი მეორე ადგილზე იყო, ისიც მაღალი შედეგით — 5 ქულით.

ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა მათ პირად შეხვედრას მეშვიდე ტურში, სადაც კასპაროვი თეთრი ფიგურებით თამაშობდა. გავიხსენოთ, რომ შარშან ლინარესში მან კარპოვს შავებით მოუგო. კარპოვმა ამჯერად კარო-კანის დაცვაში სიახლე გამოიყენა, ხელთ იგდო ინიციატივა და თეთრებმა მხოლოდ დიდი გაჭირვებით მიაღწიეს ყაიმს. ამ პარტიამ მიმომხილველებს აფიქრებინა, რომ ძალიან გაჭირდებოდა ლიდად, დიდი დამაჯერებლობით მოთამაშე კარპოვის შეჩერება. ეს მართლაც შეუძლებელი გახდა, საბოლოოდ კი მას შემდეგ, რაც კასპაროვი მეათე ტურში დამარცხდა მსოფლიო ჩემპიონობის ორგზის (!) პრეტენდენტ კრამნიკთან. საინტერესოა, რომ მომდევნო ტურში კარპოვმა თვითონ მოუგო კრამნიკს და ბრძოლაც ფაქტობრივად დამთავრდა.

წინასწარი ცნობებით, კასპაროვსა და კარპოვს წლეულს კიდევ რამდენიმე საერთო ტურნირში მოელით მონაწილეობა, ასე რომ, ძველი დავა, რომელიც ზოგმა მიმომხილველმა, როგორც ჩანს, ცოტა ნაჩქარევად კასპაროვის სასარგებლოდ გადაწყვიტა, კვლავაც გაგრძელდება.

**ბიჭი თხინვალელი**

# ჯონ მაკინროუ, როგორიც არის

ჯონ მაკინროუ ის პიროვნება გახლავთ, რომელმაც 80-იანი წლების ჩოგბურთი იხსნა მოსაწყენი ერთფეროვნებისგან. იგი ერთსა და იმავე დროს კეთილშობილი ადამიანიც იყო და მოურიდებელი თავხედიც, ხელგაშლილი მეოცნებეცა და პრაგმატისტ-პრაქტიკოსიც. სწორედ ამ წინააღმდეგობრივმა ხასიათმა და მოთამაშის ბრწყინვალე ნიჭმა აქცია ჯონ მაკინროუ თანამედროვე ჩოგბურთის ერთ-ერთ თვალსაჩინო ვარსკვლავად. სხვათა შორის, მას აზრებიც საკმაოდ ორიგინალური, ყველასაგან განსხვავებული აქვს, რაც ამ საუბრიდანაც ჩანს.

● **რატომ გაურბიხართ ჟურნალისტებთან კონტაქტს?**

— ადამიანის სულში ქექვა უზნეობაა. თქვენ ჟურნალისტებს კი სწორედ ეს გიყვართ.

● **მორცხვი ხომ არა ხართ?**

— ჩემი ეს თვისება კარგად შეგინიშნავთ. ზოგიერთს კი ჰგონია მაკინროუ უკარება კაციაო.

● **როგორი ურთიერთობა გაქვთ მსაჯებთან? რას ფიქრობთ მათზე?**

— ჩვენს ურთიერთობას მეგობრულს ვერ ვუწოდებ, თუმცა კონკრეტულად არავის მიმართ არა მაქვს ბოღმა. უბრალოდ, არ მიყვარს, როცა ადამიანმა არ იცის თავისი საქმე.

● **თქვენ მაინც და მაინც არც პრესას სწყალობთ?**

— ჟურნალისტს ვეთანხმები, თუ სიმართლეს წერს. არაკომპეტენტური მჯღაბნელების დაუძინებელი მტერი ვარ, განსაკუთრებით იმათი, ვინც მუდამ ჩემპიონების ირგვლივ ტრიალებენ და ამით ფულის შოვნას ცდილობენ.

● **ხომ არ იცის თამაშმა მობეზრება?**

— ზოგჯერ, თქვენ წარმოიდგინეთ, იცის. აი მაშინ გეზარება ყველაფერი: ჩოგბურთიც, მგზავრობაც, სასტუმროებიც და აბეზარა გულშემატკივრებიც.

● **როგორ გრძნობთ თავს განათლებული კაცის გვერდით?**

— ვცდილობ არ წამოვროშო სისულელე.

● **ბედისწერისა თუ გწამთ?**

— ადამიანი თავის ბედს თვითონ უნდა განაგებდეს. სხვის მიერ დაგეგმილი მომავალი უაზრობაა.

● **გეშინიათ თუ არა სიკვდილის?**

— იმედი მაქვს, რომ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა.

● **რაიმე კონკრეტული ოცნება ან მისწრაფება თუ გქონიათ?**

— მინდოდა როკ-მომღერალი გავმხდარიყავი, გამემართა კონცერტები დიდი აუდიტორიის წინაშე.

● **როგორ მოხვედით ჩოგბურთში?**

— ჩემს სახლთან, ნიუ-იორკის გარეუბანში, რამდენიმე კორტი იყო. ჩოგანს პირველად იქ მოვავლე ხელი და უნდა გამოგიტყდეთ — თამაში არ მომეწონა.

● **თავისუფალი დრო თუ გაქვთ ბევრი?**

— მაინც და მაინც, არა.

● **რაში იყენებთ ხოლმე მას?**

— ვუსმენ მუსიკას.

● **ხართ თუ არა ბედნიერი?**

— რა თქმა უნდა ვარ, მეტსაც გეტყვით, თავი ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ კაცად მიმაჩნია.

● **რა არის თქვენთვის უბედურება?**

— ბრძოლის წაგება და... უაზრო შეკითხვებზე პასუხების გაცემა.

● **რას უსურვებდით თქვენს თავს?**

— ამ საუბრის რაც შეიძლება ადრე[illegible] დამთავრებას...



**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**

აკ. წერეთლის გამზირი, № 2

**ფეხბურთი**

საქართველოს 1993-94 წლების V ჩემპიონატი

II ეტაპი

21 მარტი

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)



25 მარტი

საქართველოს თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა

„დინამო“ (თბილისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო)

თამაშების დასაწყისი 14 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში თამაშების დღეს 11 საათიდან.

საქართველოს რესპუბლიკის ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაცია და ოლიმპიური რეზერვის ტანვარჯიშის სპორტსკოლა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წარსულში გამოჩენილი ტანმოვარჯიშე, სპორტის დამსახურებული ოსტატი

**ლევან ყანჩაველი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, [illegible] კოსტავას 16. ● ტელეფონი 99-56-14 ინდექსი 66485 [illegible] დაიბეჭდა გამომცემლობა „[illegible]“.

ეროვნული ბიბლიოთეკა